

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭო  
20.04.2018 №14 დადგენილებით



## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (შემდეგში „ინსტრუქცია“) განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდეგში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სწავლების ყველა საფეხურზე შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ორგანიზების, ჩატარების, გამოცდის შედეგის გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

2. სასწავლო უნივერსიტეტში ჩასატარებელი გამოცდების ორგანიზებას, ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდების ცენტრი (შემდეგში „ცენტრი“) და შესაბამისი ფაკულტეტი.

### მუხლი 2. სტუდენტის ქცევის წესი გამოცდაზე

1. სტუდენტი გამოცდის ჩატარების დღეს ვალდებულია:

ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო მასალის დარიგების/ კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან სტუდენტის ბილეთი), დამკვირვებლის მოთხოვნი შემთხვევაში წარუდგინოს მას და ხელი მოაწეროს გამოცდაზე დასწრების/ აღრიცხვის ფურცელს;

გ) ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, გამოცდის დასრულებამდე ჩააბაროს დამკვირვებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. სტუდენტის მხრიდან საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება.

ე) საგამოცდო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილზე დააწეროს სტუდენტის კოდი ან სახელი და გვარი;

ვ) საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება).

ზ) სამუშაოს დასრულების შემდეგ ტესტი გადასცეს დამკვირვებელს/ ლექტორს,

კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ოთახი/ცენტრი;

2. ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება საგამოცდო მასალის დარიგების/ კომპიუტერში შესაბამისი მასალის ჩატვირთვისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან.

3. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში ასევე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა (მიიღებს გაფრთხილებას ან მოიხსნება გამოცდიდან);

ბ) სტუდენტებს შორის საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება (მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად (მოიხსნება გამოცდიდან);

ე) გადაწერა, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. „შპარგალკად“ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვა.) დაწერილი თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან).

ვ) კალკულატორის ან/და წიგნის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელი გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

ზ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან.

4. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (ხმამაღალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება, საგამოცდო მასალის განზრახ დაზიანება, კარნახი, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა ან სხვა ხელის შემშლელი გარემოება).

5. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნისა და შეფასების გაუქმების შესახებ;

6. წინამდებარე წესით დადგენილი შესაბამისი წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - „0“.

7. საგამოცდო ცენტრში, კომპიუტერთან ჩაბარებული გამოცდის შეფასება სტუდენტს ეცნობება გამოცდის დამთავრებისთანავე და კურსის შედეგების ერთიანი ამონაწერი გადაეცემა ლექტორს/დამკვირვებელს.





8. სტუდენტს უფლება აქვს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან/და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია მიიღოს ზომები ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 3. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. საგნის ლექტორი/მასწავლებელი ვალდებულია ამ წესით დადგენილ ვადებში საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს/ სასწავლო პროცესის მართვის სიტემაში დაფიქსირებულია საგნის შუალედური შეფასებები.

2. საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული შუალედური /დასკვნითი/ განმეორებითი გამოცდის შედეგების გაცნობისთანავე, სტუდენტი წერილობითი ფორმით აფიქსირებს პრეტენზიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც რეაგირებისთვის წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.

3. შუალედური/დასკვნითი/განმეორებითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს სამი დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. შემოსული საჩივარის შესახებ ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს ორი დღისა აცნობებს სადაო გამოცდის/საგნის ლექტორს/მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოს მოსაზრება სადაო საკითხთან დაკავშირებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დეკანი რეაგირებისთვის მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.

4. რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი ან/და მეტი წევრით. კომისია ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კომისია ვალდებულია უმოკლეს ვადაში განიხილოს შემოსული საჩივარი, მისცეს შესაძლებლობა მხარეებს (სტუდენტს, საგნის ლექტორს/მასწავლებელს) წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება სადაო საკითხთან დაკავშირებით და მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

6. კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7. გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც იცვლება სტუდენტის შეფასება, გაიცემა ახალი შეფასების უწყისი.

8. გამოცდის შედეგები არის კონფიდენციალური ინფორმაცია და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია არ გაამჟღავნოს ან არ გადასცეს ინფორმაცია სხვა პირებს სტუდენტის თანხმობის გარეშე.



#### მუხლი 4. გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი

1. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელია საგამოცდო ცენტრის უფროსი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად.

2. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ჩატარების მეორე დღეს, საგამოცდო ცენტრი ვალდებულია პერსონალის მიერ წარმოდგენილი ტესტები საგამოცდო ფურცლები/ბილეთები/საკითხები გადასცეს ფაკულტეტს, პროფესიული განვითარების სამსახურს, რომლებიც აღნიშნულ ტესტებს გადასცემენ საგნის ლექტორს/მასწავლებელს.

3. საგამოცდო ცენტრის უფროსი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად ვალდებულია დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ტესტების/ბილეთების/საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსთან. საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს დასკვნა და წარუდგინოს რექტორს ან იმოქმედოს არსებული რეგულაციებით .

#### მუხლი 5. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი/მეთვალყურე ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე);

ბ) გააფრთხილოს სტუდენტები გამოცდის ჩატარების წესების შესახებ;

გ) საგამოცდო აუდიტორიაში/ოთახში ჩაიბაროს საგამოცდო ფურცელი (ტესტი) და სტუდენტის აღრიცხვის/დასწრების ფურცელი.

დ) სტუდენტის გამოცდაზე აღრიცხვა/დასწრება დააფიქსიროს სტუდენტის ხელმოწერით მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ (ასეთის არასებობის შემთხვევაში მოხსნას გამოცდიდან).

ე) სტუდენტის აღრიცხვის დასრულების შემდეგ დაურიგოს ტესტი სტუდენტებს და აუწყოს მათ დროის ათვლის შესახებ;

ვ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას და უზრუნველყოს გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესის მოთხოვნების დაცვა;

ზ) გამოცდების ჩატარების წესის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მისცეს გაფრთხილება ან/და მოხსნას იგი გამოცდიდან, საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა - „მოხსნილია გამოცდიდან“ შესაბამისი მიზეზის მითითებით და გადასცეს ცენტრის უფროსს;

თ) სტუდენტის პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე გასცეს პასუხი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს საგამოცდო ცენტრის უფროსს;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გამოცდის დასრულების შესახებ გააფრთხილოს სტუდენტი;

ი) საგამოცდო ნაშრომები ჩაიბაროს საგამოცდო ფურცლებთან ერთად და გადასცეს საგამოცდო ცენტრის უფროსს.

თ) საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ არ დაუშვას სტუდენტი გამოცდაზე





ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე (არანაკლებ ერთი საათი და არაუმეტეს საათნახევა) არ მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდის მსვლელობის დასრულება.

კ) არ მიმართოს სტუდენტს იმ ფორმით, რომელიც გამოიწვევს მის პატივისა და ღირსების შელახვას.

3.დამკვირვებელი ვალდებულია აუხსნას სტუდენტს, რომ უფლება აქვს შუალედური/დასკვნითი/ განმეორებითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს სამი დღისა, წარადგინოს წერილობითი საჩივარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფაკულტეტის დეკანატში.

4. წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებლის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება.

5.დამკვირვებელი პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტისა და პროცესის კონფიდენციალობაზე.

## **მუხლი 6. ცვლილება და დამატება**

გამოცდების ჩატარების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

